საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბეჭედი

ბეჭედი, 1. თითზე წამოსაცმელი სამკაული (ძვლის, ქვის, მინისა და სხვადასხვა ლითონისა). ძვ. აღმოსავლეთსა და ანტ. ქვეყნებში გავრცელებული იყო ე. წ. საბეჭდავი ბ. შუაში ამოკვეთილი წარწერით ან გამოსახულებით; ასეთი ბ-ის ანაბეჭდი მისი მფლობელის ხელმოწერას ცვლიდა. ბ-ში ხშირად ჩასმული იყო კამეა.

საქართველოში ლითონის ბ. ბრინჯაოს ხანიდანაა ცნობილი და განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ანტ. პერიოდიდან. ამ დროის სამარხებში ნაპოვნია ფერადი თვლებით, ხშირად გემებითა და კამეებით შემკული ბ-ები. გემიანი ბ. საბეჭდავადაც გამოიყენებოდა. ანტ. და ფეოდ. ხანაში თვლიანი ბ. მეფე-ერისთავთა ერთ-ერთ ინსიგნიას წარმოადგენდა. ასეთი ბ-ის თვალზე ამოჭრილი იყო მისი მფლობელის სახელი, ინიციალები ან ჰერალდიკური ნიშანი და მას ოფიც. საბუთებსა და დოკუმენტებზე ბეჭდის დასასმელად იყენებდნენ.

საქართვ. ეთნოგრ. სინამდვილეში ოქრო-ვერცხლისა და სხვა ლითონის ბ-ები შემორჩა როგორც სამკაულად („სამკაო ბეჭედი“), ისე ცოლქმრობის სიმტკიცის გამომხატველ სიმბოლოდ. საქართვ. მთაში გავრცელებული იყო უპირატესად ადგილობრივად ნაკეთები ვერცხლის უთვლო ბ-ები, მეტწილად მოსევადებულ-მოვარაყებული. ზოგან თვლიან ბ-ს (უმთავრესად სარდიონისას) მაგიურ დანიშნულებასაც მიაწერდნენ და „ავი თვალისაგან“ დასაცავად იკეთებდნენ.

2. ლითონის, ხის ან რეზინის საბეჭდი (მეტწილად ბრტყელი რგოლის ფორმისა), რ-იც იხმარება მასზე პირუკუღმა ამობურცული წარწერისა თუ გამოსახულების აღსაბეჭდად ქაღალდზე, ლუქზე ან ცვილზე. ბ-ის დანიშნულებაა საბუთის ნამდვილობის დადასტურება

და ამა თუ იმ საგნის (მაგ., კონვერტის, უჯრის, კარის) ხელუხლებლობის დაცვა. ძვ. ბ-ებს შეისწავლის სფრაგისტიკა. ბ-ები ჰქონდათ მეფეებს, მღვდელმთავრებს, მოხელეებსა და კერძო პირებს. საქართველოში სამეფო კარზე ჰქონდათ დიდი სასიგელე სახელმწ. ბ.; ამის გარდა, სახელმწ. მცირე ბ-ც არსებობდა. XV ს-მდე ხმარობდნენ შეკიდულ ბ-ს (ანაბეჭდი ზონრით იყო შეკიდებული საბუთზე). ბ-ები განსხვავდება ერთმანეთისაგან ლეგენდის (წარწერის) მიხედვით. ზოგიერთ ბ-ზე მფლობელის მხოლოდ სახელია მოხსენიებული, ზოგზე კი – მისი ტიტულიც. ამის გარდა ზედ ამოკვეთილია ვრცელი ლეგენდებიც. ზოგი ლექსადაა გამოთქმული (მაგ., ერეკლე II-ის მეუღლის ბ-ზე: „ვინ არს მიზეზი არსთა მკობისა მან მცა წიაღი დედოფლობისა. დარეჯან“). ერთსა და იმავე პირს შეიძლება რამდენიმე ბ. ჰქონოდა (მაგ., ერეკლე II-ს 8 ბ. ჰქონდა).

ლიტ.: ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი ს., საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები, [ტ.] 2; ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1970; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წგ. 3, ნაკვ. 2 - ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926, გვ. 70–81.

ი. სურგულაძე

ლ. სოსელია